აქციის მოწყობის პირობები

რეგლამენტი

1. **ინფორმაცია აქციის ორგანიზატორის შესახებ**
   აქციის ორგანიზატორი : შპს „მონდელიზ საქართველო“

2. **აქციის ჩატარების პერიოდი და ვადები**
   ჩეკების ატვირთვის პერიოდი: 1 მაისი 2026 – 30 ივნისი 2026.
   პრიზების გაცემის პერიოდი: 1 მაისი 2026 – 30 ივლისი 2026.

3. **აქციის ჩატარების ადგილი**
   აქცია ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე, დისტანციურ ფორმატში, ვებგვერდზე oreo-promo.ge (შემდგომში — „ვებგვერდი“), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. **აქციაში მონაწილე პროდუქციის ჩამონათვალი და მათი ქულობრივი შესაბამიბა**
   აქციაში მონაწილეობს მხოლოდ შემდეგი პრომო პროდუქცია: ორეო 95 გრამი და ორეო 225 გრამი.
   კერძოდ:

ქართულად	English	EAN code
OREO ვანილის კრემით 95 გ.	Oreo Original 95 g	7622210653031
OREO შოკოლადის კრემით 95 გ.	Oreo Original 228 g	7622210375742
OREO მარწყვის კრემით 95 გ.	Oreo Strawberry Flavour 95 g	7622201512682
OREO ვანილის კრემით 228 გ.	Oreo Strawberry Flavour 228 g	7622201512620
OREO შოკოლადის კრემით 228 გ.	Oreo Chocolate Flavour 95 g	7622202204289
OREO მარწყვის კრემით 228 გ.	Oreo Chocolate Flavour 228 g	7622202204258

   95 გრ ორეოს სანაცვლოდ მონაწილეს ერიცხება 1 (ერთი) ქულა.
   225 გრ ორეოს სანაცვლოდ მონაწილეს ერიცხება 2 (ორი) ქულა.
   მონაწილისთვის ქულბის დაჯამება ხდება ატვირთული პროდუქციის შესაბამისად.

5. **აქცია ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა სავაჭრო ობიექტებზე, სადაც გაიცემა შესყიდვის დამადასტურებელი სალარო ჩეკი (ჩეკის დეტალური მოთხოვნები იხილეთ მე-8 პუნქტში).**

6. **აქციის მონაწილეები**
   აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, რომელიც შეიძენს წინამდებარე წესების მე-4 პუნქტში მითითებულ პრომო პროდუქციას და ატვირთავს შესაბამის სალარო ჩეკს ორგანიზატორის ოფიციალურ საიტზე **oreo-promo.ge**

7. **აქციაში მონაწილეობის პირობები**

   აქციაში მონაწილეობის მისაღებად მონაწილე ვალდებულია აქციის პერიოდში — 01 მაისი 2026 წლიდან 30 ივნისი 2026 წლის ჩათვლით — შეიძინოს მე-4 პუნქტში მითითებული პრომო

Mondelez International Internal

პროდუქცია, დარეგისტრირდეს საიტზე **oreo-promo.ge** (მოქმედი მობილური ტელეფონის ნომერით), ითამაშოს სახალისო თამაში, და ატვირთოს მინიმუმ 1 (ერთი) ცალი სალარო ჩეკის (შესყიდვის დამადასტურებელი) მკაფიო ფოტო.

დეტალური ინსტრუქცია:

აქციაში მონაწილე პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს **oreo-promo.ge** , სადაც შეძლებს რეგისტრაციას, ვერიფიკაციას, მათ შორის მობილური ტელეფონის ნომრის მითითებას. რეგისტრაციის დასასრულებლად საჭიროა მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი (SMS -ის სახით).

შესყიდვის დამადასტურებელი სალარო ჩეკის ასატვირთად მონაწილემ უნდა დააკლიკოს (პირად კაბინეტში) „ატვირთე ჩეკი“, მიუთითის შეძენილი პრომო პროდუქციის ზუსტი რაოდენობა და გრამაჟი (95გრ ან 225 გრ) და ატვირთოს ჩეკის ფოტო.

მომხმარებელს პირად კაბინეტში უჩანს შემდეგი 3 განყოფილება (ჩეკების სტატუსის აღმნიშვნელი): „დადასტურებული“, „უარყოფილი“, „მოდერაციაზე“.

ატვირთული ჩეკი ავტომატურად გადადის განყოფილებაში: „მოდერაციაზე“. არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა მოხდება ჩეკის მოდერაცია და ჩეკი გადაინაცვლებს შესაბამის განყოფილებაში: „დადასტურებული“ ან „უარყოფილი“.

ატვირთული ჩეკის ამსახველი ფაილი უნდა იყოს JPG ან PNG ფორმატის.

ატვირთულ ჩეკზე მკაფიოდ და სრულად უნდა იკითხებოდეს შემდეგი ინფორმაცია:

- შეძენის თარიღი და დრო;
- შეძენილი პრომო პროდუქციის დასახელება, რაოდენობა და გადახდილი თანხა.

არ დაიშვება ისეთი გამოსახულების ატვირთვა, რომელიც არ წარმოადგენს ფოტოსურათს, მათ შორის (მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით): სქრინშოთი (ეკრანის ანაბეჭდი), ნახატი, კომპიუტერული გრაფიკა ან ფოტომონტაჟი.

ორგანიზატორი იტოვებს უფლებას არ დაადასტუროს ან გააუქმოს მონაწილეობა იმ შემთხვევაში, თუ ატვირთული ჩეკის ფოტო არ აკმაყოფილებს წინამდებარე მოთხოვნებს.

8. **ჩეკის დახარვეზების და საიტზე დაბლოკვის საფუძველი**

ჩეკი დახარვეზდება თუ:

- ჩეკის ამსახველი ფოტო გამოსახულება არ არის მკაფიო,
- არ იკითხება შეძენის ადგილი, თარიღი ან დრო
- არ იკითხება შეძენილი პრომო პროდუქცია, ან მათი რაოდენობა ან მათი ღირებულება.
- ჩეკი უკვე ატვირთულია იგივე ან სხვა მომხმარებლის მიერ.
- შეძენილია 2026 წლის 01 მაისამდე ან შეძენლია 2026 წლის 30 ივნისის შემდგომ.
- ჩეკზე შეძენილი პრომო პროდუქციის რაოდენობა ან/და გრამაჯი (წონა) არ ემთხვევა მონაწილის მიერ მითითებულ რაოდენობას.

ორგანიზატორს უფლება აქვს დაბლოკოს მონაწილე საიტზე (და უარი განუცხადოს მას ნებისმიერი პრიზის გადაცემაზე) თუ:

- მონაწილე, აქციის განმავლობაში, 3 (სამ) - ჯერ ატვირთავს ჩეკს, რომელიც უკვე ატვირთული იყო მის მიერ ან სხვა მონაწილის მიერ.

Mondelez International Internal

- მონაწილე, აქციის განმავლობაში, 3 (სამ) - ჯერ ატვირთავს ფოტოს რომელიც არ შეიცავს ჩეკის გამოსახულებას.
- მონაწილის მიერ ატვირთული ჩეკები დახარვეზდება 3 (სამ) -ჯერ არ მეტჯერ.
- მონაწილე ჩეკის ატვირთვისას მიუთითებს შეძენილი პროდუქციის რაოდენობას არასწორედ.

9. **გამარჯვებულის გამოვლენა**

სარეიტინგო პრიზები:

სარეიტინგო პრიზების გამარჯვებულების გამოვლენა ხორციელდება ქულების რაოდენობების შეჯიბრებითობის პრინციპით (რეიტინგით).

რეიტინგის (ყოველთვიურის და მთავარი პრიზის) ჯამი შეიცავს შემდეგ ქულებს: დადასტურებული ქულები და მოდერაციაზე მყოფი ქულები. რეიტინგში ასახულია როგორც მოდერატორის მიერ დადასუტრებული ქულები, ასევე მოდერაციაზე მყოფი ქულები და რათქმაუნდა მათი ჯამი (რის მიხედვითაც არის რეიტინგში რიგითობა დალაგებული).

საიტზე ჩეკის რეგისტრაციის შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მოდერატორი ახდენს ჩეკის შემოწმებას წინამდებარე წესების პირობების შესაბამისად (შემდგომში "'მოდერაცია").

მოდერაციის შედეგების მიხედვით:

იმ შემთხვევაში, თუ ჩეკი შეესაბამება წინამდებარე წესების პირობებს, მონაწილის ქულები რჩება მონაწილის ანგარიშზე, რეიტინგში.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა ნებისმიერი შეუსაბამობა აქციის წესებსა და მონაწილის მიერ საიტზე წარმოდგენილ შევსებულ სარეგისტრაციო ფორმას შორის, ან იმ შენთხვევაში, თუ გამოვლინდა საიტზე ატვირთული ჩეკის შეუსაბამობა აქციის მოთხოვნებთან, მონაწილეის ქულები იქნება წაშლილი მონაწილის ანგარიშიდან და შესაბამისად ასევე რეიტინგიდან. რის შედეგადაც მოხდება საერთო რეიტინგის კორექტირება და განახლება. ის ქულები რომელბიც მოდერატორი მიერ იქნება უარყოფილი, გამოაკლდება ჯამს, და შესაბამისად რეიტინგის როგითობაშიც შეიძლება მოხდეს ცვლილება.

აქციის ორგანიზატორი/მოდერატორი იტოვებს უფლებას, მოახდინოს კორექტირება შეძენილი პროდუქციის რაოდენობისა (რომელიც აქციის მონაწილის მიერ იქნა მითითებული).

ყოველი ახალი თვის დაწყებისას, წინა თვის რეიტინგი ნულდება და ქულების რაოდენობების ათვლა დაიწყება 0-დან.

თუ ორ ან მეტ მონაწილეს დაუგროვდება რეიტინგში თანაბარი ქულები, უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს რომელმაც უკანასკნელი ჩეკი ატვირთა სხვა მონაწილეებზე ადრე.

გარანტირებული პრიზები:
გარანტირებული პრიზის გადაცემა ხდბეა მონანილის მიერ პრიზის მოთხოვნის შესაბამისად. მონაწილეს შეუძლია აქციის მსვლელობისას, ნებისმიერ დროს მოითხოვოს (პირადი კაბინეტიდან) და გადაცვალის დაგროვილი ქულები გარანტირებულ პრიზებში.

Mondelez International Internal

შენიშვნა: გარანტირებული პრიზების რაოდენობა შეზღუდულია. ზუსტი განახლებადი რაოდენობა გამოსახულია ვებგვერდზე. თუკი რომელიმე კონკრეტული გარანტირებული პრიზის რაოდენობა ამოიწურება, მონაწილეს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს იგი.

10. პრიზების ჩამონათვალი და აქციის პერიოდი

აქციის ფარგლებში აქციული პრიზები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- სარეიტინგის პრიზები.
- გარანტრიებული პრიზები
- ორეო ჩელენჯის შოუში მოსაწვევი (Ticket to the Oreo Challenge Show)

სარეიტინგო პრიზები,

მთავარი პრიზი:

- 1 ცალი საგზური პარიზში (საფრანგეთი) განკუთვნილი 4 ადამიანზე. კერძოდ 2 სრულწლოვან საქართველოს მოქალაქესათვის და 2 არასრულწლოვან 18 წლამდე, საქართველოს მოქალაქესათვის.

ყოველთვირი პრიზი:

- Sony PlayStation 5, 1TB. მთლიანი აქციის განმავლობაში 2 ცალი. თვის განმავლობაში 1 (ერთი) ცალი. გადაეცემა ყოველთვიურ რეიტინგში პირველ ადგილს.
- ყურსასმენი Marshall Major IV, მთლიანი აქციის განმავლობაში 2 ცალი. თვის განმავლობაში 1 (ერთი) ცალი.გადაეცემა ყოველთვიურ რეიტინგში მეორე ადგილს.

გარანტირებული პრიზები

- 3 (სამი) ლარი, მობილური ტელეფონის ბალანსზე. მთლიანი აქციის განმავლობაში 2 000 ცალი.
- 7 (შვიდი) ლარი, მობილური ტელეფონის ბალანსზე. მთლიანი აქციის განმავლობაში 1 000 ცალი.
- 20 (ოცი) ლარის ნომინალის კოდი ვაუჩერი, WOLT-ის აპლიკაციის. მთლიანი აქციის განმავლობაში 500 ცალი.

მობილური ტელეფონის ბალანსზე ან WOLT-ის აპლიკაციის კოდზე გადაცვლილი ქულების ხელახლა გადაცვლა მობილური ტელეფონის ბალანსზე ან WOLT-ის აპლიკაციის კოდზე შეუძლებელია;

ბილეთი სპეციალურ Oreo Challenge შოუზე - პირველი სამი (3) მონაწილე, რომელიც ყველაზე სწრაფად ატვირთავს მინიმუმ ათ (10) ქვითარს, მიწვეული იქნება გასართობ შოუზე "მსოფლიოს გარშემო", რომელიც ინსტაგრამ ბლოგერ სოსომ წარმოადგინა. Oreo Challenge-ს შეუერთდება წყვილი - ერთი ზრდასრული და ერთი ბავშვი - ერთი (1) გამარჯვებულიდან.

Mondelez International Internal

თუ Oreo Challenge-ის ერთი ან მეტი მონაწილე უარს იტყვის მონაწილეობაზე, მოწვევა გადაეცემა რეიტინგში შემდეგ მონაწილეებს.

Oreo Challenge გაიმართება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, თბილისში.

Oreo Challenge-ში მონაწილეობის მისაღებად, Oreo Challenge-ის ბილეთის გამარჯვებული უნდა გამოცხადდეს გამოწვევის ადგილზე თანმხლებ პირთან ერთად Oreo Challenge-ის დღეს, დანიშნულ დროს.

თანმხლები პირი უნდა იყოს Oreo Challenge-ის ბილეთის გამარჯვებულის ნათესავი და იყოს 7-დან 10 წლამდე ასაკის. Oreo Challenge-ში მონაწილეობის უფლება აქვთ ერთ (1) ზრდასრულს და ერთ (1) ბავშვს. ორი (2) ზრდასრული ან ორი (2) ბავშვი არ დაიშვება. Oreo Challenge-ში მონაწილეობით, Oreo Challenge-ის ბილეთის გამარჯვებული და მისი თანმხლები პირი თანხმდებიან მომხმარებლის მიერ ორგანიზებულ ინტერაქტიულ თამაშში მონაწილეობაზე. ისინი ასევე თანხმდებიან Oreo Challenge ინტერაქტიული თამაშის ფოტო/ვიდეო გადაღებაზე, ასევე გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე მომხმარებლის ვებსაიტზე, სოციალური მედიის გვერდებსა და არხებზე, ასევე Instagram ბლოგერ Soso Around The World-ზე.

თუ ორეო ჩელენჯში მონაწილე ბინადრობს არა თბილისში მაშინ მას აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯები და სასტუმროს ხარჯი (ერთი ღამით). ანაზღაურების მისაღებად მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს გადახდის ქვითრები. აზაზღაურების მაქსიმალური თანხა შეადგენს 350 (სამას) ლარს.

11. შეზღუდვები:

სარეიტინგო პრიზების შეზღუდვები:

1 (ერთ) მონაწილეს უფლება აქვს, აქციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში, მოიგოს მხოლოდ 1 (ერთი) ცალი ყოველთვიური სარეიტინგო პრიზი.

მაგალითად, თუ მონაწილე „ა“ პირველი თვის რეიტინგში დაიკავა პირველი ან მეორე ადგილი (შესაბამისად მოიგო პირველი თვის სარეიტინგო პრიზი) იგი ვეღარ მოიგებს მეორე თვის სარეიტინგო (ყოველთვიური) პრიზს, მისი ქულები მეორე თვის ყოველთვიურ რეიტინგში საერთოდ არ აისახება. თუმცა მას შეუძლია მოიგოს მთავარი პრიზი, შესაბამისად მთავარი პრიზის რეიტინგში მისი ქულები (როგორც პირველ თვეს ასევე მეორე თვეს დაგროვილი) აისახება.

-ყოველთვიური რეიტინგი ტარდება აქციის ყოველი თვის ბოლოს, შესაბამისი აქციის პერიოდში ატვირთული ქვითრების საფუძველზე;

გარანტირებული პრიზების შეზღუდვები:

1 (ერთ) მონაწილეს უფლება აქვს, აქციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს, ერთი სახეობის გარანტირებული პრიზი მაქსიმუმ 3 (სამი) ცალი.

Mondelez International Internal

მაგალითად: მონაწილეს „ა“ უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ 3 (სამი) ცალი - „3 (სამი) ლარი, მობილური ტელეფონის ბალანსზე“. ასევე მხოლოდ 3 (სამი) ცალი - „7 (შვიდი) ლარი, მობილური ტელეფონის ბალანსზე“ და ასევე მხოლოდ 3 (სამი) ცალი - „20 (ოცი) ლარის ნომინალის კოდი ვაუჩერი, WOLT-ის აპლიკაციის“.

12.პრიზის გაცემის წესი

გარანტირებბული პრიზები გაიცემა, დისტანციურად, პრიზის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღეში

სარეიტინგო (ყოველთვიური, მთავარი) პრიზების გაცემის პერიოდი იწყება გამარჯვებულის გამოვლენის დღიდან და გრძელდება 2026 წლის 30 ივლისამდე. პრიზების გაცემა ხორციელდება ქ. თბილისში, შალვა რადიანის ქუჩა №17, სამუშაო დღეებში, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე. ორგანიზატორთან წინასწარ შეთანხმებით. ასევე შესაძლებელია ფოსტის მეშვეობით პრიზების გაგზავნა, თბილისს გარდა სხვა ლოკაციებზე.

13.პრიზის გადაცემაზე უარის თქმის საფუძველი

ორგანიზატორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს გამარჯვებულისთვის პრიზის გადაცემაზე, შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ორგანიზატორმა მოითხოვა და გამარჯვებულმა ვერ წარმოადგინა ან უარი განაცხადა აქციაში მონაწილეობისას ატვირთული სალარო ჩეკების ორიგინალების და შესყიდული პროდუქციის შეფუთვების წარდგენაზე;

- თუ გამარჯვებულმა ვერ წარმოადგინა ან უარი განაცხადა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) წარდგენაზე.

14. მონაწილეთა თანხმობა

აქციაში მონაწილეობის მიღებითა და ორგანიზატორის ოფიციალურ ვებ-საიტზე რეგისტრაციით, მონაწილე ადასტურებს, რომ:

- სრულად გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს (რეგლამენტს).

- აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ აქციის ადმინისტრირების, ჩატარებისა და პრიზების გაცემის მიზნით.

15.პრეტენზიის წარდგენისა და განხილვის წესი

• მომხმარებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, აღნიშნული პრეტენზია უნდა წარედგინოს წერილობით ფორმაში და გაიგზავნოს საფოსტო გზით შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, შალვა რადიანის ქუჩა 17.

Mondelez International Internal

- პრეტენზიაში მომხმარებელი ვალდებულია მკაფიოდ მიუთითოს ის საფოსტო მისამართი, რომელზეც სურს მიიღოს ორგანიზატორის წერილობითი პასუხი.

- ორგანიზატორი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი პრეტენზია და მომხმარებელს გაუგზავნოს შესაბამისი წერილობითი პასუხი, მის მიერ მითითებულ მისამართზე, პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

16.**დამატებითი დებულება:**

ამ აქციაში ნახსენები ყველა სავაჭრო ნიშანი მათი შესაბამისი მფლობელების საკუთრებაა და გამოიყენება მხოლოდ პრიზების აღსაწერად. ეს აქცია არ არის დაფინანსებული, მოწონებული ან მხარდაჭერილი „Disney“-ის, „Sony“-ს, „Marshall“-ის ან მათი შვილობილი კომპანიების მიერ.

„თუ მითითებული პრიზის მოდელის შეძენა შეუძლებელია (მაგალითად, მისი მიუწვდომლობის გამო), ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, ჩაანაცვლოს იგი მსგავსი ღირებულებისა და მახასიათებლების მქონე პრიზით.“

Mondelez International Internal